

**პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

I. პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს:

- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირების უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფას და მოიცავს - ბრიგადის მიერ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტებითა და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნებით. საჭიროების შემთხვევაში – სამედიცინო ჩვენებით პაციენტის ჰოსპიტალიზაციას ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით შესაბამისი პროფილის კლინიკაში;

სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა ხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.

- ✓ სამედიცინო ტრანსპორტირებას - (რეფერალური დახმარება) კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვა, ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ კონსულტაცია, მდგომარეობის სტაბილიზაცია, გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირება;

სამედიცინო ტრანსპორტირება ხორციელდება რეფერალური/კატასტროფის ბრიგადის მიერ სტაციონარიდან სტაციონარში, სტაციონარული დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე.

- ✓ სამედიცინო ტრანსპორტირების (რეფერალური დახმარების) კომპონენტის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება სრულად სახელმწიფოს მიერ და მომსახურების მიღებისას პაციენტმა არ უნდა გადაიხადოს რაიმე სახის გადასახადი.

II. სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება და სასწრაფო სამედიცინო დახმარება

- ✓ მალამთიან რეგიონებში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე სამედიცინო დაწესებულებების (იხილეთ დანართი N1 - სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებები) მიერ, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ დაწესებულებებში რეგისტრირებულ მოსახლეობას მიეწოდება ამბულატორიული ან/და სტაციონარული მომსახურება;
- ✓ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონი) მცხოვრებ პირებს, გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირების მიზნით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურებს მიწოდებათ უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/Specdafinansebaze%20myofi%20daw.sam.%20daxmareba.pdf>

III. სოფლის ექიმი – პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ოჯახის ექიმის და ექთნის მომსახურება - სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის

პროგრამის ფარგლებში მოქალაქეს შეუძლია მიიღოს შემდეგი მომსახურება:

- ექიმთან და/ან ექთანთან ვიზიტი;
- იმუნიზაცია იმუნიზაციის ეროვნული კალენდრის მიხედვით;
- პრევენციული შემოწმება და სკრინინგი;
- ბავშვებისა და მოზარდების განვითარებაზე მეთვალყურეობა;
- პროგრამა ასევე ითვალისწინებს ექიმის ან ექთნის ვიზიტს ბინაზე საჭიროების შემთხვევაში 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის;
- ბინაზე ექიმის ვიზიტი ასევე გათვალისწინებულია წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ მუდმივად მწოლიარე (გადაადგილების უნარს მოკლებულ) პირებთან;
- ინკურაბელურ პაციენტებთან ბინაზე ვიზიტს, საჭიროების შესაბამისად;
- ქრონიკული (მათ შორის, ჰიპერტონიული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, გულის იშემიური დაავადება, ბრონქული ასთმა, ინკურაბელური პაციენტები) და მწვავე დაავადებების მართვა და გადამისამართება, საჭიროების შესაბამისად;

- ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ (DOT) მკურნალობის უზრუნველყოფა ექთნის მიერ;
- სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა გადაუდებელი მდგომარეობების დროს;
- ამბულატორიულ დონეზე სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების (მათ შორის, ინკურაბელური პაციენტებისათვის) გაცემა (გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა);
- პაციენტის უზრუნველყოფა გადაუდებელი ამბულატორიული შემთხვევების დროს აუცილებელი მედიკამენტებით;
- ტუბერკულოზის, აივ-ინფექციის/შიდსის და C ჰეპატიტის სკრინინგის პროექტის ფარგლებში ბენეფიციარების ტანდემ-ტესტირება C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ტუბერკულოზზე, ხოლო სკრინინგით იდენტიფიცირებული დადებითი შედეგის მქონე პირების შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის ხელშეწყობა;
- ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკა.

სოფლის ექიმის/ექთნის მომსახურების დაფინანსება სრულად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და მომსახურების მიღებისას პაციენტმა არ უნდა გადაიხადოს რაიმე სახის გადასახადი.

სოფლის ექიმის დანიშნულებით, ამბულატორიულ დონეზე, ექიმ-სპეციალისტების მომსახურების (ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი, ქირურგი); **ინსტრუმენტული** (ელექტროკარდიოგრაფია, საჭმლის მომნელებელი სისტემის, შარდსასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპია, გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია და ძვლების რენტგენოგრაფია) **და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების** (სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ჰემოგლობინი, ეოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის დრო (INR), ღვიძლის ფუნქციური სინჯები: ALT, AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი TSH) მისაღებად, პროგრამის მოსარგებლე უნდა დარეგისტრირდეს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმიური ამბულატორიული მომსახურებისათვის მიმწოდებელ დაწესებულებაში. ამასთან, მოსარგებლეს პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციისათვის აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებს შორის.

